პროლეტარებო ყველა ქვეყნისაო, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
10 ივლისი
1940 წ.
№ 157 (5858)
ფასი 10 კაპ.



მოსკოვი. კრემლი და დიდი ქვის ხიდი. საკდესის ფოტოქრონიკა

ბოლშევიკურად გარდავქმნათ კომკავშირის მუშაობა

ამ დღეებში საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმმა გამოიტანა ღირსშესანიშნავი დადგენილება „კომკავშირულ აქტივთან მუშაობის გაუმჯობესებისა და კომკავშირის აპარატის გარდაქმნის შესახებ". გაზეთებში უკვე გამოქვეყნდა ეს დადგენილება და აგრეთვე საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ა. მიხაილოვის მოხსენება. ამ დოკუმენტებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ კომკავშირისათვის. ისინი წარმოადგენენ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გადაჭრით გარდაქმნის პროგრამას.

ლენინურ-სტალინური კომკავშირი ბოლშევიკთა პარტიის უანგარო თანაშემწეა. იგი აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, საეკონომო და კულტურულ მშენებლობაში, როგორც საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი.

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმმა მიღწევებთან ერთად აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებები კომკავშირის მუშაობაში. კომკავშირული კომიტეტები ნაკლებად ამბობენ პრაქტიკულ საქმიანობაში კომკავშირულ აქტივს. კომკავშირის რაიკომები და ქალაქკომები ცდილობენ მთელი მუშაობა შეასრულონ უმთავრესად აპარატის ფასიან მუშაკებით, მხედველობიდან უშვებენ რა ფართო კომკავშირულ აქტივს, ივიწყებენ მათ, გაუბედაობას იჩენენ ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე მათ წამოყენებაში, აქტიურ კომკავშირულ მუშაობაში მათი ჩაბმის საქმეში. ეს სავსებით შეეხება საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებსაც.

XVIII პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინოდ გაიზარდა ლენინური კომკავშირი. მარტო ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოს კომკავშირში მიღებულია 150.000-ზე მეტი ახალგაზრდა და ამჟამად იგი თავის რიგებში 270.000-ზე მეტ ვაჟსა და ქალს ითვლის. ახლა ჩვენ მრავალათასიანი საუცხოო, ინიციატივიანი, ლენინ-სტალინის პარტიისათვის უსაზღვროდ თავდადებული კომკავშირული აქტივი გვყავს. ეს აქტივი — შესანიშნავი ძალაა, რომლის საშუალებით დიდი საქმეების გაკეთება შეიძლება. მაგრამ მას ყველგან როდი იყენებენ მუშაობაში.

საქართველოს კომკავშირის მთელ რიგ რაიონულ და საქალაქო კომიტეტებში ადგილი ჰქონდა ტენდენციას რაც შეიძლება მეტი შტატიანი მუშაკი ჰყოლოდათ, ხოლო გაბერილი შტატები უარყოფით გავლენას ახდენდნენ კომკავშირული აპარატის მუშაობაზე, ხელს უშლიდნენ ახალი აქტივის ჩაბმას პრაქტიკულ მუშაობაში, ახალი კადრების დაწინაურებას; კომკავშირელთა აქტიური მონაწილეობა ყოველდღიურ საქმიანობაში ხშირად შეცვლილი იყო აპარატის ფასიან მუშაკთა მუშაობით. კომკავშირული აპარატის გაბერილი შტატები აგრეთვე ხელს უშლიდნენ ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების კავშირის განმტკიცებას კომკავშირულ მასებთან.

ზოგიერთი რაიკომები და ქალაქკომები ცდილობდნენ მთელი მუშაობა კომიტეტთა ფასიანი მუშაკებით ჩაეტარებინათ, ხოლო აქტივი დავიწყებული ჰყავდათ, იშვიათად იწვევდნენ რაიკომის (ქალაქკომის) პლენუმს, კომკავშირული აქტივის კრებებს. მაგალითად, საქ. ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ქიროვის და 26 კომისრის სახელობის რაიკომები 5-6 თვეში ძნელად ერთხელ იწვევდნენ პლენუმის სხდომას, რაიკომის პლენუმის ყველა წევრი არ იყო ჩაბმული პრაქტიკულ მუშაობაში, მათ არ ეძლეოდათ გარკვეული დავალებები. ქუთაისის ქალაქკომის პლენუმის წევრთა უმრავლესობას არავითარი დავალება არა აქვს მიცემული, ისინი არ არიან ქალაქკომის მუშაობის კურსში. რადგან პლენუმის მოწვევას წინასწარ არ ამზადებდნენ, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა მოწვეული პლენუმის ჩაშლას. მაგალითად, მიმდინარე წლის 8 მაისს ჩაიშალა საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პლენუმი, რადგან იგი წინასწარ არ იყო სათანადოდ მომზადებული.

სუსტად მუშაობენ შტატგარეშე ინსტრუქტორებთან. მოლოტოვის სახელობის რაიკომში არც კი იციან, თუ რამდენი შტატგარეშე ინსტრუქტორი ჰყავთ, ხოლო ბერიას სახელობის რაიკომში 7 შტატგარეშე ინსტრუქტორია, მათგან კონკრეტული დავალებანი მხოლოდ 5 ამხანაგს აქვს მიცემული, ხოლო ორი ამხანაგი — ქაჯაია და ურუშაძე — ჯერაც არ ჩაუბამთ მუშაობაში, ისინი ფორმალურად ირიცხებიან შტატგარეშე ინსტრუქტორებად. ასეთივე ფაქტები მრავალია სასოფლო რაიკომებშიც.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტს შეისწავლოს კომკავშირის ფასიანი აპარატის შემცირების საკითხი იმ ანგარიშით, რომ გარდაიქმნას კომკავშირული აპარატი და გაუმჯობესდეს მუშაობა კომკავშირულ აქტივთან. საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმმა გადაწყვიტა ერთიორად მაინც შეამციროს ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების აპარატი.

აპარატის შემცირება სერიოზული პოლიტიკური საქმეა. ეს შემცირება არ ნიშნავს აპარატის შესუსტებას. პირიქით, შემცირების შემდეგ აპარატი იქნება მცირე, მაგრამ უფრო მომქმედი, იგი მტკიცედ დაუკავშირდება კომკავშირის მრავალათასიან აქტივს, ჩაბამს მას მუშაობაში. ამით მისი ძალები და მოქმედების უნარი კიდევ უფრო გაიზრდება. ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების აპარატი — ეს იქნება ათეულობით განთავისუფლებული მუშაკები და ათეული ათასობით აქტივისტები.

იმ მიზნით, რომ აქტივი უფრო ფართოდ იქნას ჩაბმული მუშაობაში, რაიკომებში და ქალაქკომებში უქმდება განყოფილებები და მათ მაგიერ იქმნება კომისიები: საგბიტაციო - საპროპაგანდო მუშაობისა, სკოლის ახალგაზრდობასა და პიონერთა შორის მუშაობისა, სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობისა, კულტურულ-მასობრივი მუშაობისა. თვითეულ კომისიაში შედა 7-10 აქტიური კომკავშირელი. ეს ღონისძიება არსებითად სკვლის საქმის შინაარსს. რაიკომში მივლენ ათობით აქტივისტი კომკავშირელები— მუშები, ინჟინრები, კულტურის ფრონტის მუშაკნი და წარმოებაში მუშებისაგან თავისუფალ დროს წარმართავენ კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობას.

მუდმივ კომისიებს გარდა საჭიროების მიხედვით შეიქმნებიან დროებითი კომისიები ამა თუ იმ ოპერატიული მუშაობის შესასრულებლად. ამ საქმისათვის ყოველთვის მოინახებიან საქმით დაინტერესებული ენტუზიასტი კომკავშირელები.

პლენუმმა დაავალა ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოებს რეგულარულად მოიწვიონ აქტივის კრებები და კომიტეტთა პლენუმები. ძირითადი მუშაობა გადატანილია საღამოს საათებში. ხელმძღვანელ კომკავშირულ მუშაკებს დაევალათ სისტემატურად ათვალიერონ საწარმოები, კოლმეურნეობანი, დაწესებულებანი, სადაც მუშაობს ახალგაზრდობა, და უზრუნველჰყონ თავიანთი მუდმივი კავშირი მასებთან. ეჭვი არ არის. ყველა ამ ღონისძიებათა გატარება გადაჭრით გააუმჯობესებს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას.

გუშინწინ საქ. ალკკ თბილისის საქალაქო აქტივმა მოისმინა საქ. ალკკ ც. კ-ის მდივნის ამხ. ა. მირცხულავას მოხსენება საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის შედეგებზე, გულდასმით განხილა და ერთსულოვნად მოიწონა პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ახლა საჭიროა მთელი ძალები წარვმართოთ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისაკენ. ხელმძღვანელი კომკავშირული აპარატის განმტკიცებისათვის საჭიროა გარდავქმნათ მისი მუშაობა, მივუახლოვოთ ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოები პირველადს ორგანიზაციებს; ისინი მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებული ახალგაზრდობის ფართო მასებთან. ამ საქმეში კომკავშირს ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა. დიდი **სტალინი** გვასწავლის:

„მასებთან კავშირი, ამ კავშირის განმტკიცება, მზადყოფნა იმისათვის, რომ ყური დაუგდოს მასების ხმას, — ეი რაშია ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა და უძლეველობა".

ეჭვი არ არის, საქართველოს ლენინური კომკავშირი, რომელიც მუშაობასა და ბრძოლაში აღზარდა დიდი ბელადის ღირსეულმა თანამებრძოლმა ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ**, კარგად დაიმახსოვრებს ბელადის ბრძნულ მითითებას და ბოლშევიკურად დარაზმავს თავის რიგებს საკ. ალკკ ც. კ-ის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

ლენინის ქალაქის ფიზკულტურელთა პარადი

ლენინგრადი, 7 ივლისი (საკ-დესი). დღეს შესდგა ლენინგრადის ფიზკულტურელთა ტრადიციული პარადი. 30 ათასი ჭაბუკისა და ქალიშვილის მსვლელობას წინ მიუძღოდა მოხალისე მოთხილამურეთა— თეთრ ფინელებთან ამასწინანდელი ძლევამოსილი ბრძოლის მონაწილეთა ნაკრები კოლონა.

ზღვის ნიავი აფრიალებს სასპორტო საზოგადოებათა აბრეშუმის ალისფერ ალმებს. ლენინგრადის ფიზკულტურელებს საუცხოოდ გაუფორმებიათ თავიანთი პარადი. მათ ბევრ რამეში დაეხმარნენ მზატვრები, რეჟისორები და კომპოზიტორები.

ფიზიკური კულტურის ლესგაფტის სახელობის ინსტიტუტის მოსწავლეებს თავიანთი ციისფერი დროშები მოაქვთ, რომლებსაც ამშვენებს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო—ლენინის ორდენი. ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ „პლამიამ" თავისი კოლონის გაფორმება მიუძღვნა თემას: „დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელნი ეგებებიან წითელ არმიას—განმათავისუფლებელ არმიას".

მოედანი ბავშვებით აივსო. მათ თავზე ირხევიან მწვანე ტოტები. ნორჩ ფიზკულტურელებს მოაქვთ ალმები, რომლებზედაც გამოსახულია მეცნიერთა, მკვლევართა, პოეტთა და მწერალთა პორტრეტები.

ლამაზად არის გაფორმებული საზოგადოება „მოტორის" კოლონა. ვეებერთელა მედალიონებში მოთავსებულია შთ ყველა სახის კომპლექსის ცოცხალი ემბლემები. მოდის გიმნასტთა რაზმი, სამხედრო მეზღვაურთა ფორმით გამოწყობილი. სპორტსმენ გემთმშენებელთა კოლონა გამოჰხატავს საბრძოლო გემს. საზოგადოება „სპარტაკის" ფიზკულტურული ქალები თავიანთი წყობით წყალქვეშა ნავის კონტურებს გამოჰხატავენ. ნებაყოფლობითი საზოგადოება „კიმის" კოლონა აჩვენებს ინსცენირებას, მიძღვნილს თემისადმი: „დიდი ფერგანის სტალინის სახელობის არხის მშენებლობა". სამგზის ორდენოსანი ქიროვის ქარხნის ახალგაზრდობამ თავისი კოლონის გაფორმებით საბჭოთა ხალხისა და წითელი არმიის ურღვევი ერთიანობის იდეა გამოსახა. ხიმტით ბრძოლის საინტერესო ინსცენირება, თეთრფინელთა „დოტების" აღება, მოტოციკლების ვირტუოზულად ხმარება, გიმნასტიკურ იარაღებზე თავისებური ჯირითი უჩვენეს ლესგაფტელებმა, ფიზკულტურის საოლქო ტექნიკუმთა სტუდენტებმა, „დინამოს" და სხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებათა სპორტსმენებმა.

პარადი დამთავრდა ნევაზე. მის ფართო თავისუფალ სივრცეზე ჩაქროლეს ბაიდარებმა, მსუბუქმა ნავებმა, მოტორიანმა კატარღებმა. ფრთოსანთა მწყობრად ჩაიქროლეს ლამაზმა იახტებმა.

დღესასწაული წყალზე და ურიცკის მოედანზე ერთ მთლიან დაუვიწყარ სურათს წარმოადგენდა. ეს იყო საბჭოთა ახალგაზრდობის ძალის, გამოწრთობისა და ამტანობის დემონსტრაცია, ახალგაზრდობისა, რომელსაც შესწევს უნარი მაღალნაყოფიერადაც იმუშაოს და გამანადგურებელი ლახვარიც ჩასცეს სოციალისტური სამშობლოს ყოველ მტერს. ლენინგრადის ფიზკულტურელი ახალგაზრდობის პარადი წარმოადგენდა აგრეთვე ბოლშევიკურ პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულების დემონსტრაციას.

გაიხსნა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

პეტროზავოდსკი, 8 ივლისი (საკდესი). დღეს, საღამოს 5 საათზე, სახელმწიფო დრამატიულ თეატრში გაიხსნა კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. სესიას ხსნის უხუცესი დეპუტატი, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ნ. პოპოვი.

კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ სესია ერთსულოვნად ირჩევს კარელია-ფინეთის სსრ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს, დეპუტატს ნ. ნ. სოროკინს. თავმჯდომარის მოადგილეებად ირჩევენ—ვიდანის სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს, კომკავშირელ ქალს ა. ვ. მოროზოვინას და სათხილამურო ფაბრიკის ტექნიკოსს ილმარი პეუხკურის.

1-ლი სესიის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: სამანდატო კომისიის არჩევნები, მუდმივი კომისიების შესახებ, კარელია-ფინეთის სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) დამტკიცება, „კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების" დამტკიცება, კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერალიურ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის საზღვრის დაწესების პროექტი, კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, პრეზიდიუმის თავმჯდომარის, პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეების, პრეზიდიუმის მდივნის და პრეზიდიუმის წევრების არჩევა, კარელია-ფინეთის სსრ მთავრობის—კარელია-ფინეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შექმნა და სხვ.

დღეგანძელ სხდომაზე სესიამ აირჩია სამანდატო კომისია და შეიქმნა კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს 2 მუდმივად მოქმედი კომისია—საკანონმდებლო განმარტებითა კომისია და საბიუჯეტო კომისია.

კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს 1-მა სესიამ ხანგრძლივი ტაშითა და მისალმების შეძახილებით გაუგზავნა მისალმება ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს.**

სსრკ საბჭოთა არქიტექტორების კავშირის გამგეობის VII პლენუმზე

8 ივლისს მოსკოვში ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გაიხსნა სსრკ საბჭოთა არქიტექტორების კავშირის გამგეობის VII პლენუმი. იგი შეაჯამებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ ისტორიული დადგენილების შესრულების შედეგებს, რომლებიც შეეხებოდა მოსკოვის რეკონსტრუქციას ხუთი წლის განმავლობაში.

პლენუმზე ჩამოვიდნენ ლენინგრადის, კიევის, მინსკისა და მრავალი სხვა ქალაქის არქიტექტორთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე დედაქალაქის მხატვრები, მოქანდაკენი, მშენებელი ინჟინრები და საქალაქო მეურნეობის მუშაკები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ს. შჩერბაკოვი და საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. მ. პოპოვი.

(საკდესი).

მოელიან საქართველოს ფიზკულტურელებს

(მოსკოვი, ბილდაპარატით საკუთარი კორეს.)

14 ივლისს მოსკოვში მოელიან საქართველოს ფიზკულტურელთა დელეგაციას, რომელსაც კურსკის ვაგზალზე გაუმართავენ საზეიმო შეხვედრას.

21 ივლისს მოეწყობა პარადი, რომელიც განასახიერებს საბჭოთა ფიზკულტურელების, მთელი საბჭოთა ხალხის მუდმივ მზადყოფნას ყველა მტრის წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი დამარცხებისათვის.

პარადს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 36 ათასი კაცი, გახსნის მოსკოვის ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოების 400 წარმომადგენლის კოლონა. თეთრფინელებთან ბრძოლის მონაწილენი გაიკვლევენ მეთხილამურეთა კოლტუმიბში და შაშხანებით. შემდეგ დაიწყება 12 მოკავშირე რესპუბლიკის დელეგაციათა გამოსვლები. პარადი დამთავრდება **სტალინის** სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა გამოსვლით. წითელ მოედანზე ნაჩვენები იქნება ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული მოძრაობის საუკეთესო მიღწევები.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ნ. კ. **ბაიბაკოვი** დანიშნა ნავთის მრეწველობის **სახალხო** კომისრის პირველ მოადგილედ. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის გემებმა გიბრალტარი დასტოვეს

ბერლინი, 9 ივლისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ტანჟერში ადასტურებენ, რომ ინგლისის სამხედრო გემებმა დასტოვეს გიბრალტარი მას შემდეგ, რაც საფრანგეთის თვითმფრინავებმა გიბრალტარს ყუმბარები დაუშინეს. ნავსადგურში ინგლისის მარტო ერთი სამხედრო გემი დარჩა.

საფრანგეთის დეპუტატთა ჯგუფის მოთხოვნა

ნიუ-იორკი, 9 ივლისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, დეპუტატთა დიდმა ჯგუფმა ვიშში დაადგინა სთხოვოს საფრანგეთის მთავრობას გამოარკვიოს და დასაჯოს „ყველა ის პირნი, რომელნიც პასუხისმგებელი არიან საფრანგეთის განადგურებისათვის.

ფრანგებმა ინგლისის გემები ჩასძირეს

ნიუ-იორკი, 9 ივლისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის რომაელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ფრანგებმა კასაბლანკის ახლოს ინგლისის ოთხი საბადრაგო გემი ჩასძირეს. საფრანგეთის წყალქვეშა ნავმა ინგლისის კრეისერი ჩასძირა.

ინგლისის მთავრობიდან ჩემბერლენის გაძევების მოთხოვნა

ლონდონი, 9 ივლისი (საკდესი). ბევრმა მუშათა ორგანიზაციამ, მათ შორის ცენტრალური ინგლისის პროფკავშირთა საბჭოების დიდმა ფედერაციამ და კოვენტრის მანქანათმშენებელთა რაიონულმა კომიტეტმა, რეზოლუციები მიიღო, რომლებთაც ისინი მოითხოვენ მთავრობიდან ჩემბერლენის გაძევებას. ასეთივე რეზოლუცია მიიღო გეიტსჰედის პროფკავშირთა საბჭომ.

გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" ათავსებს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის იმ გამოკითხვის შედეგს, რომელიც ინგლისის ყველა ნაწილში ჩაატარა ინგლისის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა იმის შესახებ, უნდა გაძევებულ იქნას ჩემბერლენი მთავრობიდან, თუ არაო. პასუხისგამცემთა 77 პროცენტმა მხარი დაუჭირა ჩემბერლენის გაძევებას. გაზეთი კომენტარს უკეთებს რა ამ გამოკითხვის შედეგებს, მოწინავე სტატიაში მოითხოვს მთავრობიდან ჩემბერლენის გასვლას.

ინგლისის წიგნის მოვაჭრე დიდრონმა ფირმებმა გამოაცხადეს, რომ ისინი უარს ამბობენ გაჰყიდონ გამოჩენილი გამომცემლის გოლანცის მიერ გამოშვებული წიგნი შემდეგი სათაურით: „დამნაშავე ადამიანები". ამ წიგნში წამოყენებულია მთავრობიდან ჩემბერლენისა და მის მომხრეთა გაძევების მოთხოვნა. ამასთან დაკავშირებით გოლანცმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ წიგნის მოვაჭრე ფირმები უარს აცხადებენ გაჰყიდონ ეს წიგნი, მაინ გავრცელება სხვა არხების საშუალებით მოხდებაო.

ჩიანო დასავლეთის ფრონტის ბრძოლების რაიონში

ბერლინი, 9 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო გამგზავრა ყოფილი დასავლეთის ფრონტის რაიონებში, სადაც დაათვალიერა მაჟინოს ხაზის სხვადასხვა სიმაგრეები. ჩიანოს ახლავან იტალიის ბერლინელი ელჩი ალფიერი, გერმანიის რომაელი ელჩი ფონ მაკენზენი და სხვები.

დაძაბული მდგომარეობა სირიაში

ანკარა, 9 ივლისი (საკდესი). სირიის პრესა ყოველმხრივ ცდილობს დაჰფაროს სირიაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა, მაგრამ ცალკეული ფაქტები, რომლებიც პრესაში ქვეყნდება, გვიჩვენებს, თუ როგორია საქმის ნამდვილი მდგომარეობა. მკითხველები წერილებს უგზავნიან გაზეთებს და სჩივიან სიძვირის დიდ ზრდას და სპეკულაციას. სირიაში განსაკუთრებით გადიდდა ფასები ამ უკანასკნელ თვეს. ცალკეული საქონელი თითქმის 100 პროცენტით გაძვირდა. გაზეთებში ყოველდღე იბეჭდება სირიის უმაღლესი კომისრის განკარგულება იმის შესახებ, რომ საქონელზე დაცულ იქნას მტკიცე ფასები, მაგრამ ეს განკარგულება საქმეს დიდად არ შველის. საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეშიც დაძაბული მდგომარეობაა. ხელისუფლებამ აკრძალა საკვები პროდუქტების, მათ შორის ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი.

სირიაში ძლიერდება რეპრესია ნაციონალური პრესის წინააღმდეგ. წარსულ კვირას სირიაში სამი არაბული გაზეთი დაიხურა „პრესის შესახებ გამოსული კანონის შეუსრულებლობისათვის". დამასკოში დაპატიმრებულია რამდენიმე კაცი, ვითომდა „ყალბი ცნობების" გავრცელებისათვის. ხელისუფლებამ გამოსცა განკარგულება, რომლითაც აკრძალულია ღამით მოტოციკლითა და ველოსიპედით მგზავრობა.

საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელთა განცხადება

ნიუ-იორკი, 9 ივლისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტრო ცნობით, საფრანგეთის ვიშის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „საფრანგეთი არ აპირებს საომარი მოქმედება დაიწყოს ინგლისის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გაწყვეტილია".

159.738.000 მანეთი—7 დღეში

სოციალისტური სახელმწიფოს ახალ სესხზე ხელის მოწერა საქართველოში ძირითადად დამთავრდა. 7 დღის განმავლობაში გავრცელებულია 159.738.000 მანეთის სესხი. აქედან ქალაქად — 130.922.000 მანეთის, ხოლო სოფლად—28.816.000 მანეთისა.

თბილისში ამავე დროის განმავლობაში ხელმოწერილია 56.072.140 მანეთზე. ლენინის რაიონში გავრცელებულია 6.446.000 მანეთის, მოლოტოვის რაიონში—5.222.770 მან., სტალინის — 10.981.370 მან., ორჯონიკიძის — 6.223.245 მან., კიროვის — 6.982.210 მან., ბერიას — 14.050.385 მან., 26 კომისრის რაიონში—6.166.160 მანეთის სესხი.

საქართველოს რაიონებიდან სესხზე ხელის მოწერა დიდი წარმატებით მიმდინარეობს ზუგდიდის, ლაგოდეხის, ორჯონიკიძის, გურჯაანის, ტყიბულის, ყარაიას, ზესტაფონის, წყალტუბოს, ხობის, საჩხერის, ბოგდანოვკის, ადბულაღის, ახპინძისა და სხვა რაიონებში. ამ რაიონებმა სესხზე ხელის მოწერა ძირითადად უკვე დაამთავრეს.

ქვემო-სვანეთის, უაზბეგის, მაიაკოვსკისა და ცაგერის რაიონები კვლავ სამარცხვინოდ ჩამორჩებიან. ცხაკაიას, თელავის, ყვარლის რაიონებში სესხზე ხელისმოწერა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სოფლად, ხოლო მახარაძესა და ახალციხეში—მუშა-მოსამსახურეთა შორის.

რუსეთის სფს რესპუბლიკაში რეალიზებულია 5.537.542 ათასი მანეთის სესხი

რუსეთის სფს რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელნი დიდი სიხარულით აწერენ ხელს ახალ სესხს. 8 ივლისისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ხელმოწერის თანხამ 5.537.542 ათას მანეთს მიაღწია. ეს 1.246.325 ათასი მანეთით აღემატება გასული წლის სათანადო პერიოდში სესხზე ხელმოწერის თანხას.

სესხის გავრცელების მხრივ სხვებზე წინ არიან: ქალაქები—მოსკოვი და ლენინგრადი. მოსკოვის, როსტოვის, ჩელიაბინსკის, სმოლენსკის, მოლოტოვის, სარატოვისა და ტამბოვის ოლქები, კრასნოდარის მხარე, ყირიმის, ბაშკირეთის, მარეთისა და უდმურტეთის ასს რესპუბლიკები.

ექვსი დღის განმავლობაში კოლმეურნეობათა შორის ხელმოწერის საერთო თანხამ გასული წლის სათანადო პერიოდის თანხას 260.333 ათასი მანეთით გადაამეტა. ბევრ კოლმეურნეს ფული სესხზე ხელმოწერისას შეაქვს. კრასნოდარის მხარეში კოლმეურნეებმა ნაღდად შეიძინეს 7.624 ათასი მანეთის ობლიგაცია, კურსკის ოლქში—5.129 ათასი მანეთისა, სმოლენსკის ოლქის კოლმეურნეებმა შეიტანეს 4.209 ათასი მანეთი, როსტოვის ოლქის კოლმეურნეებმა—3.712 ათასი მანეთი, ყირიმის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეებმა შეიტანეს 2.800 ათას მანეთზე მეტი. ტამბოვის ოლქში კოლმეურნეებისაგან ნაღდად შემოვიდა 2.775 ათასი მანეთი.

ვოლოგდის, კუიბიშევის, ორიოლის და ჩკალოვის ოლქებში, მორდოვეთისა და ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკებში სესხზე ხელმოწერა გასული წლის დონეს აღემატება. მაინც, არასაკმაოდ გაშლილი მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის გამო, სესხის რეალიზაცია ამ ოლქებსა და რესპუბლიკებში, დანარჩენებთან შედარებით, უფრო ნელა მიმდინარეობს. მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა განსაკუთრებით სუსტად არის დაყენებული პენზის ოლქში. ამის გამო აქ ბლომად არიან ისეთი მუშები, მოსამსახურეები და კოლმეურნეები, რომლებსაც სესხზე დღემდე არ მოუწერიათ ხელი.

ჯერ კიდევ ყველგან როდი ეჭცევა საკმაო ყურადღება კოლმეურნეთა მიერ ახალი სესხის ობლიგაციების ვადამდე განაღდების ორგანიზაციას. ეს მუშაობა სუსტად არის მოწყობილი, კერძოდ, კრასნოიარსკის მხარეში, რიაზანის, ომსკის, სვერდლოვსკისა და ტულის ოლქებში, თათრეთისა და ყალმუხეთის ასს რესპუბლიკებში.

ახალ სესხზე ხელმოწერა რუსეთის სფს რესპუბლიკაში ყველგან გრძელდება. (საკდესი).

განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი

მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის სესხზე ხელისმოწერა პირველ დღიდანვე უდიდესი წარმატებით გაიშალა ორდენოსან საქართველოში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ერთსულოვანი აღფრთოვანებით აწერენ ხელს სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი სიძლიერის შემდგომი განმტკიცების სესხზე. მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის შეგნებულობის უდიდეს ზრდაზე, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი მათს უსაზღვრო სიყვარულზე, თავდადებასა და ერთგულებაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ წელს სესხი გაცილებით უფრო წარმატებით ვრცელდება, ვინემ წინა წლებში. საკმარისია ვთქვათ, რომ თუ გასულ წელს ხელისმოწერის პირველ დღეს გავრცელებული იყო 45.000.000 მანეთის სესხი, წელს პირველი დღის განმავლობაში ხელმოწერის თანხამ 75.000.000 მანეთს მიაღწია.

ამით აიხსნება, რომ 7 დღის განმავლობაში მზიურმა საქართველომ ძირითადად დაამთავრა ახალ სესხზე ხელის მოწერა. დღეისთვის გავრცელებულია 159.738.000 მანეთის სესხი.

დიდი წარმატებით მიმდინარეობს ხელისმოწერა თბილისში. ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს შორის უკვე გავრცელებულია 56.072.140 მანეთის სესხი, ანუ 10.882.140 მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

ასეთივე წარმატებით გრძელდება ახალ სესხზე ხელის მოწერა ავტონომიურ რესპუბლიკებში. აფხაზეთში დღეისთვის ხელმოწერილია 14.116.000 მანეთზე, აჭარაში —11.065.000 მანეთზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წარმატებები სესხის სოფლად გავრცელებაში. კოლმეურნეები სესხზე ერთსულოვნად აწერენ ხელს. უმეტესობას ნაღდი ფული შეაქვს შემნახველ სალაროებში და ამით ხელს უწყობს 1940 წლისათვის ჩვენი ქვეყნის წინაშე დასმულ ამოცანათა წარმატებით შესრულებას.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ახლა გავრცელებულია თითქმის ორჯერ მეტი თანხის სესხი, ვიდრე გასულ წელს. ასეთებია, მაგალითად, ტყიბულის, ქარელის, თბილისის, ფოთის, ყარაიის, ზუგდიდის, ადბულაღის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, გურჯაანისა და ქუთაისის რაიონები.

მიუხედავად იმ წარმატებებისა, რომლებიც მოვიპოვეთ სესხის გავრცელებაში საერთოდ, ხელისმოწერის კამპანიას თან ახლავს ზოგიერთი თვალსაჩინო ნაკლოვანებაც. ისეთ რაიონებში, როგორიც უაზბეგი და ქვემო-სვანეთია, ცუდად გაშალეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ამის გამო ამ რაიონებში სესხზე ხელისმოწერა არადამაკმაყოფილებად მიმდინარეობს. სუსტად მუშაობენ ამ რაიონების საფინანსო ორგანოებისა და შემნახველი სალაროების მუშაკებიც, რომლებმაც ვერ უ

არჩევნებისათვის მზადება ლატვიასა, ლიტვასა და ესტონეთში

პროფკავშირთა სახლში

კაუნასი, 7 ივლისი (საკდესი). ვიტოვტის პროსპექტზე მდებარე დიდი სახლისაკენ ხალხის ნაკადი მიედინება. მიდიან რკინიგზელები, ფეიერები, მეწყალენი, შინამოსამსახურენი, მსახიობნი, მეტყვიენი, მშენებელნი და უმუშევარნი. სულ ცოტა ხნის წინათ ამ სახლში მოთავსებული იყო „დარბო რუმეი“ („შრომის პალატა“). თუმცა ამ დაწესებულებას „შრომის პალატა“ ეწოდებოდა, მაგრამ იქ მუშების არცერთი წარმომადგენელი არა ყოფილა. ყველა საქმეს კაპიტალისტები აკეთებდნენ პოლიციის დახმარებით. ამიტომ „დარბო რუმეი“ მუშებს შორის მართებულად სარგებლობდა ისეთივე რეპუტაციით, როგორც საიდუმლო პოლიცია. ახლა ამ სახლში მოთავსებულია პროფკავშირთა დროებითი ცენტრალური საორგანიზაციო ბიურო, ლიტვის პროფესიული მოძრაობის ხელმძღვანელი ცენტრი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა.

სულ ბოლო დრომდე ლიტვაში არსებობდა მხოლოდ რეაქციული „მასწავლებელთა კავშირი“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ აკრძალა ახალმა მთავრობამ, და „ავტოტრანსპორტის მოსამსახურეთა საზოგადოება“. ახლა კი პროფკავშირული ორგანიზაციების რიცხვი დღითიდღე მატულობს. პროფკავშირული ორგანიზაციები თვით მასების ინიციატივით, სტიქიურად ეწყობა. შეიძლება ითქვას, რომ არ არის არცერთი ისეთი საწარმო ან დაწესებულება, სადაც პროფკავშირული ორგანიზაცია არ იყოს.

პროფკავშირთა დროებითი ცენტრალური საორგანიზაციო ბიუროს წევრები მთელი დღის განმავლობაში იღებენ ძირეული პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ზოგი იმის გასაგებად მოდის, თუ რა უყონ მეწარმეს, რომელიც მთავრობის განკარგულებათა საბოტაჟს ეწევა, რა უნდა მოიმოქმედონ რეაქციული ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ, ზოგი კიდევ კითხულობს, თუ როგორ ჩაატარონ კრებები, როგორია პროფკავშირულ კომიტეტთა წევრობის კანდიდატებისათვის კენჭისყრის წესი. პროფკავშირთა დროებითი ცენტრალური საორგანიზაციო ბიუროს წევრებს, რომელთა უმრავლესობაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ საპყრობილეებში იტანჯებოდა ხალხის ინტერესების დასაცავად ბრძოლისათვის, ამჟამად იძულებული არიან სხვებს ასწავლონ და ამავე დროს თვითონაც ისწავლონ თუ როგორ უნდა იქმას გადაწყვეტილი უმნიშვნელოვანესი საკითხები.

5 ივლისს შესდგა კაუნასის ყველა პროფკავშირული კომიტეტის კრება, რომელიც მიეძღვნა ორგანიზაციულ საკითხებს. ვის შეუძლია იყოს პროფკავშირის წევრი, რამდენი წევრისაგან უნდა შესდგებოდეს პროფკავშირის კომიტეტი, როგორ უნდა ავირჩიოთ იგი — ასეთია, ის თითქოს მარტივი, მაგრამ ლიტვის მშრომელებისათვის ახალი საკითხები, რომლებიც აინტერესებთ შეკრებილთ. შემდეგ შესდგა პროფკავშირთა დარგობრივი კრებები, რომელთაც აირჩიეს დარგობრივ პროფკავშირთა დროებითი გამგეობები. ამ დროებით გამგეობათა ძირითადი ამოცანაა ძირეული პროფესიული ორგანიზაციების შექმნა და გაფორმება, მეპატრონეთა და მუშებს შორის კონფლიქტების გადაწყვეტა.

გუშინვე პროფკავშირთა ცენტრალურმა დროებითმა საორგანიზაციო ბიურომ კაუნასის 40 მოწინავე მუშა გაჰგზავნა პროვინციულ ქალაქებში. იქ ამ მუშებმა პროფესიული ორგანიზაციები უნდა შეჰქმნან.

შუადამედე მრავალი ხალხი და ხმაურობა იყო პროფკავშირთა დროებითი ცენტრალურ საორგანიზაციო ბიუროს შენობაში. აქ მოდიან ქარხნების, ფაბრიკებისა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

25-ათასიანი წინასაარჩევნო მიტინგი კაუნასში

კაუნასი, 7 ივლისი (საკდესი). გუშინ საღამოს კაუნასში შესდგა პირველი წინასაარჩევნო მიტინგი. მიტინგზე ორგანიზებული წესით მოვიდნენ ლიტვის დედაქალაქის მშრომელები — კაუნასის საწარმოთა წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, სასპორტო და ახალგაზრდობის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სტადიონი, სადაც მიმდინარეობდა მიტინგი, სავსე იყო ხალხით. აქ თავი მოეყარა 25 ათას მუშას, მოსამსახურესა და მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენელს. სტადიონი საღღესასწაულოდ იყო მორთული ამხანაგი სტალინის, მოლოტოვის, კალინინის, ვოროშილოვისა და ტიმოშენკოს ვეებერთელა სურათებით, ლოზუნგებით და პლაკატებით, რომლებზედაც ელვარებდნენ დიადი საბჭოთა კავშირისადმი მისალმების სიტყვები.

გახსნა რა მიტინგი, ლიტვის პროფკავშირთა ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარემ შუმაუსკასმა გამოაქვეყნა „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო პლატფორმა. შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა პრემიერ-მინისტრი, რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის აღმასრულებელი იუსტას პალეკიკისი, რომელსაც ხალხი მქუხარე ტაშით შეხვდა. სახალხო მთავრობა, — განაცხადა იუსტას პალეკიკისმა, — უბრუნებს ლიტვის ხალხს იმას, რაც წაართვა მას სმეტონის პლუტოკრატიულმა ხროვამ. სახალხო მთავრობა ქვეყნის ბედს თვით ხალხს აბარებს.

პალეკიკისმა მოუწოდა ყველას ისე იშრომონ, რომ მოკლე ვადაში გაკეთდეს რაც მივიწყებული იყო თვითნებობისა და ჩაგვრის მრავალი წლის განმავლობაში.

— ჩვენ ლოდინის დრო არა გვაქვს, ჩვენ ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ საკუთარი თვალით დავინახოთ განახლებული ცხოვრება, — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა გედვილამ.

მის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ქალაქ კაუნასის ბურგომისტრმა, ექიმმა გარმუსმა და კაუნასის ვარნიზონის ჯარისკაცმა იაკუბსამ. ლიტვის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ბელიაუსკასმა პირობა მისცა შეკრებილთ, რომ ლიტვის ახალგაზრდობა, ისევე როგორც ჯარისკაცები, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ახალი სეიმის არჩევნებში.

მიტინგზე განხილული და წამოყენებული იყო ახალი სეიმის კანდიდატები კაუნასის საარჩევნო ოლქიდან. მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს წამოაყენონ ახალი სეიმის დეპუტატობის კანდიდატებად: მუშა მატეიუს შუმაუსკასი — ყოფილი პოლიტპატიმარი, ლიტვის პროფკავშირთა ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარე; მშენებელი მუშა იანკელის ვინიცკასი, რომელიც ახლახან გამოვიდა საპატიმროდან; მეორე ქვეითი პოლკის ჯარისკაცი ბელიაუსკასი; გლეხი პრანას პეტრაუსკასი; მცირემიწიანი გლეხი იოზას ბალოტნისი; ლიტვის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე — ანტანას სნეჟკუსი, რომელიც ახლახან დაბრუნდა კატორღიდან, სადაც იგი გაგზავნილი იყო პოლიტიკური მოღვაწეობისათვის; ლიტვის სახელმწიფო ოპერის მსახიობი ქალი ალექსანდრა სტაშკევიჩიუტე; მწერალი, ლიტვის რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრი, ანტანას ვენცლოვა, კომპოზიტორი, რადიოგადაცემის დირექტორი იოზას ბანაიტისი და კაუნასის ქალაქის თავი, ექიმი გარმუსი.

აღტაცებით შეხვდნენ წინადადებას ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ მოლოტოვისათვის მისალმების გაგზავნის შესახებ. მიტინგის შემდეგ ყველა მონაწილე შეუერთდა ქალაქის ქუჩებში გამართულ დემონსტრაციას. სადღესასწაულო მსვლელობამ საათზე მეტ ხანს გასტანა.

წინასაარჩევნო კამპანია ლიტვაში

კაუნასი, 7 ივლისი (საკდესი). წინასაარჩევნო კამპანია გაიშალა მთელს ლიტვაში. ლიტვის დედაქალაქში გუშინ შემდგარი ხალხმრავალი მიტინგის შემდეგ, კაუნასის მუშურ რაიონში — მწვანე მთაზი შესდგა მუშათა მასობრივი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საარჩევნო კამპანიის დაწყებას. დღეს წინასაარჩევნო მიტინგები გაიმართა ლიტვას უდიდეს ცენტრებში.

სამრეწველო ცენტრ შაულიაიში შესდგა ორი წინასაარჩევნო მიტინგი. მიტინგებზე სიტყვა წარმოსთქვა სახალხო განათლების მინისტრმა ვენცლოვამ. ხალხმრავალ წინასაარჩევნო მიტინგებზე, რომლებიც შესდგა ვილნოში, სიტყვა წარმოსთქვეს შინაგან საქმეთა მინისტრმა გედვილამ და ცნობილმა ლიტველმა მწერალმა პეტრას ცვირკომ. მიტინგი შესდგა აგრეთვე ქ. პანევეჟისში და ქ. ალიტუსში.

მიტინგების მონაწილენი ყველგან დიდი აღფრთოვანებით და ერთსულოვნად იღებენ „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ პლატფორმას. კავშირის კანდიდატებს ერთხმად ასახელებენ.

დღეს კაუნასის ყველა გაზეთი გამოვიდა იმ საარჩევნო ლოზუნგებით, რომლებიც წამოაყენა „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირმა“.

წინასაარჩევნო კამპანია ესტონეთში

ტალინი, 7 ივლისი (საკდესი). ესტონეთის მშრომელნი სიხარულით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას ახალი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დანიშვნის შესახებ. ყველა ქალაქსა, დაბასა და სოფელში გუშინ დემონსტრაციები და მიტინგები შესდგა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ესტონეთის არმიის ნაწილებმაც. ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა ტალინში, ტარტუში, ნარვაში, პიარნუში, პეტსერში, ჰაპსალუში, კურესარსა და სხვა პუნქტებში.

„ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ კომიტეტში

ტალინი, 7 ივლისი (საკდესი). ესტონეთში საარჩევნო კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, იმ ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და კავშირების წარმომადგენელთა შეთანხმებით, რომელნიც „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირში“ შედიან, შეიქმნა „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ სრულიად - ესტონეთის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ა. აბენი (თავმჯდომარე), ი. ლაურისტინი, კ. სიარე, ნ. რუუსი, პ. კერდო.

კომიტეტმა 13 რწმუნებული გაჰგზავნა საოლქო კომიტეტებში.

„ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო პლატფორმა

კაუნასი, 7 ივლისი (საკდესი). ახალი სეიმის არჩევნებთან დაკავშირებით, ლიტვის პრესაში გამოქვეყნებულია „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო პლატფორმა. საარჩევნო პლატფორმაში ნათქვამია:

„თავისუფალი ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქენო!

ჩვენი ბთავრობის გადაწყვეტილების თანახმად, 14 ივლისს მთელს ლიტვაში მოხდება არჩევნები ახალი სეიმისა, რომელმაც უნდა გამოხატოს თავისუფალი ლიტვის ხალხის ნება-სურვილი.

ჩვენს ქვეყანაში მრავალი წლის განმავლობაში ბატონობდა ძალადობის, თვითნებობისა და უკანონობის რეჟიმი. პლუტოკრატებისა და ხალხის მოღალატეთა ხროვამ სმეტონას მეთაურობით 1926 წლის 17 დეკემბერს ძალადური სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა, გაჰფანტა კანონიერად არჩეული ხალხის წარმომადგენლები და მოსპო დემოკრატიულ თავისუფლებათა უკანასკნელი ნაშთები. სთელავდა რა ხალხის უფლებებს, მოღალატეთა და პლუტოკრატების ხროვამ სახელმწიფო სამსახური და სახელმწიფო აპარატი შემოსავლიან ადგილად, მშრომელთა ხარჯზე თავისი გამდიდრების წყაროდ გადაიქცია.

ლიტვის სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე საბჭოთა კავშირი ლიტვას უანგაროდ უწევდა დიდ დახმარებას, მან პირველმა და ერთადერთმა აღიმაღლა პროტესტის ხმა ლიტვის წინანდელი დედაქალაქის — ვილნოს პოლონეთთან ძალით შეერთების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირმა ვილნო ლიტველ ხალხს დაუბრუნა. დიდ საბჭოთა კავშირს ჩვენი ხალხი არაერთხელ გადაურჩენია ომისა და აოხრებისაგან. 1939 წლის 10 ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა ლიტვის რესპუბლიკასთან ძმური ხელშეკრულება დასდო ურთიერთდახმარების შესახებ. მაგრამ ლიტვის გამცემლები, ხალხის მოღალატენი — სმეტონა, სკუჩასი და კომპანია ცდილობდნენ ჩაეშალათ ეს ხელშეკრულება და საფრთხეში ჩაეგდოთ ლიტვის რესპუბლიკის უშიშროება და დამოუკიდებლობა.

საბჭოთა კავშირის დახმარებით ლიტველი ხალხი ძველი რეჟიმის უღლისაგან განთავისუფლდა. უკანონობის, ძალადობისა და ადამიანის ელემენტარულ უფლებათა ფეხქვეშ გათელვის რეჟიმი სამუდამოდ დაიმსხვრა. მოღალატე სმეტონა და მისი დამქაშები, რომელთაც შეეშინდათ თავიანთი ბოროტმოქმედებისათვის პასუხისმგებლობისა, სამარცხვინოდ გაიქცნენ ჩვენი ქვეყნიდან.

ხალხის მოწონებით შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელმაც ფიცი დასდო ემსახუროს ხალხის ინტერესებს, დაიცვას მისი კანონიერი უფლებები.

თავისუფალ ლიტვის მოქალაქენო!

ისტორიულ დღეს — 14 ივლისს —ჩვენ უნდა მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად ავირჩიოთ ღირსეული დეპუტატები, რომლებსაც შეეძლებათ გამოჰხატონ ხალხის ნამდვილი ნება-სურვილი და მისი მისწრაფება — განვითარებულ იქნას ნამდვილი მეგობრობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდ კავშირთან, რაც ჩვენი ქვეყნის აყვავებისა და თავისუფალი განვითარების ერთადერთი გარანტიაა

ჩვენ, მუშების, პროფკავშირული ორგანიზაციების, საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების წარმომადგენელნი, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლნი, მწერლები, ხელოვნების მუშაკნი და სასპორტო ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, თავისუფალი ლიტველი ქალები, ახალგაზრდობა, აგრეთვე ლიტვის კომუნისტური პარტია, სეიმის არჩევნების კამპანიის დიადი ამოცანების შეგნებით გამსჭვალულნი, გაერთიანდით მშრომელი ხალხის კავშირად, რათა მივაღწიოთ იმას, რომ ახალ სეიმში არჩეულ იქნან ხალხის საუკეთესო, პატიოსანი შვილები, რომლებსაც შეეძლებათ დაიცვან და განახორციელონ ხალხის იდუმალი სურვილები.

მოვუწოდებთ ლიტვის ყველა პატიოსან მოქალაქეთ, პატრიოტებს, ყველა ამმრჩეველთ, დამოუკიდებლად მათი მდგომარეობისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ხმა მისცენ მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომელნიც მზად არიან და რომლებსაც უნარი შესწევთ თანმიმდევრობით და გადაჭრით იბრძოლონ ჩვენ პლატფორმის შემდეგი მოთხოვნებისათვის, რომლებიც შეესაბამებიან ლიტველი მშრომელი ხალხის ინტერესებს.

საგარეო პოლიტიკის დარგში — ლიტვის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა და ლიტვის რესპუბლიკის მტკიცე და ურღვევი კავშირი სსრ კავშირთან.

საშინაო პოლიტიკის დარგში:

1. მშრომელ გლეხთა განთავისუფლება საგადასახადო ნარჩენებისაგან და წესების დარღვევისათვის დადებული სხვადასხვა ჯარიმის ჩამოწერა მათგან.

2. საბანკო დავალიანების ჩამოწერა ღარიბი და მცირემიწიანი გლეხური მეურნეობებისაგან.

3. ყოველნაირი სახელმწიფოებრივი დახმარების აღმოჩენა უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხებისათვის მათ მიერ მიწის მიღებაში.

4. მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესება ხელფასის მომატებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების გზით.

5. ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევებისაგან მშრომელთა სოციალური დაზღვევის გატარება მეწარმეთა ან სახელმწიფოს ხარჯზე.

6. მოხუცი მუშების, მუშა-ქალებისა და შრომის ინვალიდების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა.

7. ხალხის ჯანმრთელობის დაცვის განვითარება და საავადმყოფოების, სანატორიუმების, დისპანსერებისა და ამბულატორიების ქსელის გაფართოება.

8. ნაციონალური კულტურისა და მეცნიერების, ხელოვნებისა და სახალხო განათლების ყოველნაირად განვითარება.

9. ეროვნებათა სრული თანასწორობა და სარწმუნოების თავისუფლება.

10. სახალხო არმიის შემდგომი დემოკრატიზაცია.

11. მშრომელთა ინტერესებისათვის სიტყვის, პრესის, კრებების, კავშირების თავისუფლების უზრუნველყოფა.

12. სამოქალაქო მეტრიკაციის გატარება.

13. მოქალაქეთა პიროვნებისა და ქონების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა.

14. მდიდარი და ანტიხალხური ელემენტებისათვის დახმარებისა და სტიპენდიების გაცემის შეწყვეტა. მაღალი მოხელეებისათვის პერსონალური დამატებითი ხელფასის გაუქმება და მოხელეთა არაჩვეულებრივად გაბერილი ხელფასის შემცირება.

15. ბინის ქირის შემცირება ბინის ღარიბ დამქირავებელთა უფლებების დასაცავად.

16. ბრძოლა სპეკულაციასთან.

თავისუფალი ლიტვის მოქალაქენო!

ხმა მიეცით „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ პლატფორმის მოთხოვნებს. მხოლოდ ამ მოთხოვნათა განხორციელების გზით მოიპოვებს ლიტველი ხალხი თავის ბედნიერებასა და უფლებებს.

არცერთი ხმა არ მისცეთ იმ ხალხს, რომელთაც უნარი არ შესწევთ და არ უნდათ თანმიმდევრობით და რევოლუციური გაბედულობით იბრძოლონ „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ პლატფორმის განხორციელებისათვის. ჩვენი ხალხის მტრები და მათი დამქაშები, ძველი რეჟიმის მომხრეები, ყოველგვარ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ მორწმუნეთა მიმართ ძალადობის შესახებ; კოსტიოლების იძულებითი დახურვის შესახებ, სოფლად კოლმეურნეობათა ვითომდა სავალდებულო ჩამოყალიბების შესახებ და ამის მსგავს სხვა ცილისწამებას. ეს ხმები უსაფუძვლოა და უნიადაგო. ისინი გავრცელებულია იმისათვის, რომ გასთიშონ ლიტვის მუშათა და გლეხთა კავშირი, ახალი ცხოვრებისადმი უნდობლობა დასთესონ ხალხში და დაიბრუნონ საზიზღარი ძველი რეჟიმი.

ნუ დაუჯერებთ ამ ხმებს! დაუნდობლად ამხილეთ ცილისმწამებელნი და პროვოკატორები! განამტკიცეთ ლიტველი ხალხის ერთიანობა და დარაზმულობა მის ბრძოლაში ახალი ცხოვრებისათვის, ხალხის იმ მოთხოვნათა გადამჭრელი განხორციელებისათვის, რომლებიც გამოთქმულია „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ პლატფორმაში.

ყველანი ერთი კაცივით ახალი სეიმის არჩევნებზე!

ხმა მიეცით „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს!

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის მტკიცე და ურღვევ კავშირს!

გაუმარჯოს თავისუფალ ლიტვას!

გაუმარჯოს ძმურ მეგობრობას და მტკიცე კავშირს დიად და უძლეველ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან!

გაუმარჯოს მშვიდობიანობას, ეროვნებათა თავისუფალ განვითარებას, ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ აღმავლობას!“.

საარჩევნო პლატფორმას ხელი მოაწერეს: სატრიკოტაჟო ფაბრიკა „სილვას“, წინდის ფაბრიკა „დიანას“, ფაბრიკა „მილკასის“, საფეიქრო ფაბრიკა „კოტონის“, მინის ქარხანა „ალექსოტასის“ კოლექტივთა მუშების წარმომადგენლებმა, მშრომელი გლეხობის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებმა, ლიტვის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ლიტვის პროფკავშირთა ცენტრალურმა ბიურომ, ლიტვის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

ლიტვის 500 ათასმა მშრომელმა მონაწილეობა მიიღო წინასაარჩევნო მიტინგებსა და კრებებში

კაუნასი, 8 ივლისი (საკდესი). სულ უფრო ფართოდ იშლება ახალი სეიმის არჩევნების კამპანია. მთელს ლიტვაში მასობრივი მიტინგები მიმდინარეობს. მშენებელ მუშათა მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა კაუნასში. პანევეჟისში გამართულ მიტინგზე გამოცხადდნენ მუშები, მახლობელი სოფლების გლეხები, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები და ჯარისკაცები. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დანილიავიჩუსმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი სეიმი ლიტვის მშრომელი ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი უნდა იყოს. იგი მოუწოდებდა სიფხიზლისაკენ. „არცერთი ხმა არ უნდა მივცეთ ხალხის მტრებს“, — განაცხადა დანილიავიჩიუსმა. მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე ლიტვის კომპარტიის და კომკავშირის წარმომადგენლებმა, ჯარისკაცებმა და ლიტვის სახალხო არმიის ოფიცრებმა. ლეიტენანტი ბერნადიშუსი მიესალმა წითელ არმიას და ლიტვის ახალ მთავრობას.

პანევეჟისის მშრომელებმა ახალი სეიმის დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს მუშა მიციკისი, ტექნიკოსი დემბო, გლეხი ლაუჩისი, მწერალი დოვიდენასი, მუშა-ქალი კუტრაიტე, გლეხი მურაუსკასი, მუშა მიკონისი, გლეხი გრიგალევიჩუსი, გლეხი პაუპკსნისი, ქვეითი ჯარის მეოთხე რანგის ლეიტენანტი ბირეტისი.

ხალხმრავალ მიტინგზე ვილკავიშკისში სახალხო განათლების მინისტრმა ვენცლოვამ განსაკუთრებით აღნიშნა ის ძმური დახმარება, რომელიც აღმოუჩინა ლიტვის ხალხს წითელმა არმიამ. ახალ სეიმში არჩევნებისადმი მიძღვნილი სიტყვებით გამოვიდნენ მუშები, მშრომელი გლეხობისა და არმიის წარმომადგენლნი. მიტინგზე შეკრებილებმა ერთსულოვნად მოიწონეს „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ ჯგუფის საარჩევნო პლატფორმა. უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მიტინგმა მისალმება ამხანაგ სტალინისადმი, აგრეთვე მისალმებანი წითელი არმიისა და ლიტვის მთავრობისადმი.

ქალაქ შაულიაიში საფაბრიკო ცენტრში, მრავალი ათეული წინასაარჩევნო მიტინგი გაიმართა.

კალვარიაში მიტინგზე 20 ათასი გლეხი ჩამოვიდა. მიტინგზე შეკრებილებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდებენ უყოყმანოდ დაუჭირონ მხარი „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო პლატფორმას.

წინასწარი ცნობებით, აქამდე წინასაარჩევნო მიტინგებსა და კრებებში მონაწილეობა მიიღო ნახევარმილიონმა მშრომელმა.

ესტონეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მოწოდება

ტალინი, 8 ივლისი (საკდესი). ესტონეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ახლა ლეგალურ პირობებში მუშაობს. შექმნილია საორგანიზაციო ცენტრი, რომელს ამოცანაა ესტონეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის აღდგენა. ცენტრი ესტონეთის მთელი მშრომელი ახალგაზრდობისადმი მიმართულ წერილში ამბობს, რომ საჭიროა შეიქმნას კომპარტიის ხელმძღვანელობით ახალგაზრდობის კავშირის კომიტეტები, რომელთაც მუშაობა უნდა გაშალონ კომკავშირის რიგებში ახალგაზრდობის ჩასაბმელად. აღნიშნულია, რომ ახალგაზრდობის კავშირში შეიძლება მიღებულ იქნან ახალგაზრდები 15 წლიდან 26 წლამდე, რომლებიც პოლიტიკურად გათვითცნობიერებული არიან და რომელთაც უნარი შესწევთ დახმარება გაუწიონ ესტონეთის კომპარტიას მის მუშაობაში.

ლატვიის ახალი სეიმის დეპუტატობის კანდიდატები წამოყენებული „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ მიერ

რიგა, 8 ივლისი (საკდესი). გამოქვეყნდა სეიმი ახალი სეიმის დეპუტატობის კანდიდატებისა, რომლებიც წამოაყენა „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირმა“.

„ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებად რიგის საარჩევნო ოლქში წამოყენებულნი არიან: შინაგან საქმეთა მინისტრი—მწერალი ლაცისი, ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი — სპურე, მკერავი ქალი ვინგოლდი, საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრი — ჟურნალისტი ბლაუსი, ნავსადგურის მუშა გაილისი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი გუსტსონი, ექიმი იოფე, სამხედრო მინისტრი — გენერალი დამბიტისი, გაზეთ „ცინიას“ რედაქტორი — ცნობილი საზოგადო მოღვაწე იაბლონსკი, ქალაქ რიგის მამასახლისი პუპური, ლატვიის მუშა ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კურლისი, სახელმწიფო კონტროლიორი არნოლდ ტაბაკი, ნავსადგურის მუშა ბრედისი, მასწავლებელი შერშუნოვი, მუშა ნურეა, მასწავლებელი იანსონი, მხატვარ-დეკორატორი ლიკუმი, ფინტერ-ოფიცერი კრასტინი, ნაფიცი ვექილი ვაგნერი, წყალსადენის მუშა სალნისი, რკინიგზელი კაეიმაკი.

„ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებად ვიტზემეს საარჩევნო ოლქში წამოყენებულნი არიან: პრემიერი — პროფესორი კირხენშტეინისი, ლატვიის კომუნისტური პარტიის (ცენტრალური კომიტეტის მდივანი — კანბერზინი (ზატისი), გლეხი მატისონი, ჟურნალისტი რუდევიცი, მოჯამაგირე ქალი ბუნიოლისი (ბირკენფელდი), მებაღური ბერგი, გლეხი იუნგე, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — მწერალი ლაცისი, ლატვიის არმიის მთავარსარდალი, გენერალი კლიავინში, გლეხი გულბისი, გლეხი მეფაპუტე, მეწაღი შიცი, გაზეთ „იაუნაკას ზინიასის“ რედაქტორი— ექიმი ლუკინი, მოჯამაგირე კრუმინი, მასწავლებელი ოშკალნი, ლატვიის კომუნისტური პარტიის ვალმერის კომიტეტის მდივანი კლანინი, მასწავლებელი მეზისი, მუშა-ქალი რეზგალი, ეფრეიტორი ტენისონი, მუშა ელასი, იურისტი კალნარე, ოპერის მსახიობი მიკელსონი.

„ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებად კურზემეს საარჩევნო ოლქში წამოყენებული არიან: ფინანსთა მინისტრი—ინჟინერი კარლსონი, ლატვიის კომუნისტური პარტიის ლიბავის კომიტეტის მდივანი პლესუმი, საზოგადო მოღვაწე — იურისტი ბუშევიცი, სამხედრო ნავსადგურის მუშა გებელი, პროფესორი გალენეკი, სოფლის მეურნე ვერპა, კომპარტიის ვინდავის კომიტეტის მდივანი ვეკალდინი (რუსისი), დოცენტი რიზგა, სახალხო განათლების ვიცე-მინისტრი, მასწავლებელი ლეკისი, მწერალი უპიტი, მუშა იანსონი, ნავსადგურის მუშა ბრეკე, გლეხი პალდინი, მასწავლებელი ქალი იაკუბოვსკაია, გლეხი კანდოვსკი.

„ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებად ზემგალეს საარჩევნო ოლქში წამოყენებული არიან: საზოგადო მოღვაწე დეგლავი, მიწათმოქმედების მინისტრი — აგრონომი ვანაგი, კომუნისტური პარტიის ზემგალეს კომიტეტის მდივანი პლატერი, მასწავლებელი — სკოლის გამგე სტრაუტნეკი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ოლგა აუგუსტი (ბულბისი), სატყეოს უფროსი კრონიტისი, კომუნალური მოღვაწე ლეია, მუშა შნორე, მეწაღე ლაპინი, გლეხი შუბი, მუშა მაზეკისი, მუშა-ქალი ბირგელი, გლეხი დავით კომისარი, გლეხი კრუზა, ექიმი როგული.

„ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებად ლატგალიის საარჩევნო ოლქში წამოყენებული არიან: იუსტიციის მინისტრი — მოსამართლე პეტერსი, შინაგან საქმეთა ვიცე-მინისტრი ლატკოვსკი, საზოგადო მოღვაწე ნოვიკი, კომპარტიის ლატგალიის სოლოქო კომიტეტის მდივანი ნეილანდი, მუშა ტრუკშანი, მუშა ფრიდმანი, მოსამსახურე კუდეიკო, მშენებელი მუშა მოროზოვი, გლეხი ილინი, სოფლის მეურნე პუდანი, ინჟენერი დეგლინი, საზოგადო მოღვაწე ტრუბნინი, რუდოვიჩი, მწერალი ნეიერა, სტუდენტი სტავროვსკი, მუშა-ქალი იუხნო, მასწავლებელი ბაშკო, აგრონომი ანცანი, კოოპერაციის მოღვაწე ექიმი კოტანი, გლეხი ბალანჩონოკი, მუშა ალექსანდროვიჩი, რკინიგზელი ჩემსი, სატყეოს უფროსი რუბინი, სამეურნეო მოღვაწე შადურსკი, ვაჭარი სტრუბოვიჩი, გლეხი ბერგაჩი, ჯარისკაცი ეიზაკი.

ჯგუფის—„ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო პლატფორმის წარმოდგენა

რიგა, 7 ივლისი (საკდესი). მთელს ლატვიაში გაიშალა წინასაარჩევნო საგაზეთაციო კამპანია. ჯგუფის „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო პლატფორმას მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეუერთდა. ლატვიის 25 პროფკავშირმა, ლატვიის არმიის 8 პოლკმა, გლეხთა ორგანიზაციებმა და სხვებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს დაუჭერენ საარჩევნო პლატფორმას.

წინასაარჩევნო მიტინგი ღვინსკში

რიგა, 7 ივლისი (საკდესი). გუშინ, საღამოს, ლატგალიის ცენტრში—დვინსკში — შესდგა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ახალი სეიმის საარჩევნო კამპანიის დაწყებას. ჯგუფის—„ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ წარმომადგენელმა შეკრებილთ გააცნო კავშირის საარჩევნო პლატფორმა და მოუწოდა ყველა მშრომელთ—ხმა მისცენ ჯგუფის კანდიდატებს. გამოსული ორატორები მხურვალედ ესალმებოდნენ საბჭოთა კავშირს და მის ბელადებს, უძლეველ წითელ არმიასა და ლატვიის ახალ მთავრობას.

მიტინგის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია. დაღამებისას მოედანზე უჩვენეს საბჭოთა ფილმი — „ლენინი 1918 წელს“, რომელმაც ფართო პოპულარობა და სიყვარული მოიხვეჭა ლატვიის მშრომელთა შორის.

გაზეთ „ტრუდოვოი პუტის“ გამოსვლა ესტონეთში

ტალინი, 7 ივლისი (საკდესი). გუშინდლიდან ტალინში რუსულ ენაზე გამოდის ყოველდღიური გაზეთი—„ტრუდოვოი პუტ“. პირველ ნ

პარტიული ცხოვრება

საქ. ალკკ თბილისის აქტივის საქალაქო კრება

8 ივლისს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა კომკავშირის თბილისის აქტივის საქალაქო კრება, რომელმაც უდიდესი ინტერესით მოისმინა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. **მირცხულავას** მოხსენება საკ. ალკკ ც. კ-ის XI პლენუმის შედეგების შესახებ.

ამხ. ა. მირცხულავამ აქტივის ყურადღება გაამახვილა კომკავშირული აპარატის საქმიანობის გადაჭრით გაუმჯობესებისა და მუშაობაში კომკავშირული აქტივის ფართოდ მიზიდვის საკითხებზე.

— საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე — აღნიშნავს ამხ. ა. მირცხულავა,—უნდა გარდაიქმნას კომკავშირული აპარატის მუშაობა. უნდა გარდაიქმნას არა ფორმალურად, არა განცალკევებულად, არამედ არსებითად. გახდება რა რაოდენობით ნაკლები, კომკავშირულმა აპარატმა წინანდელზე გაცილებით უფრო უკეთესად უნდა მოაწყოს მუშაობა. ამას კი მივაღწევთ მაშინ, თუ თვითეული კომკავშირული მუშაკი აიმაღლებს თავის თეორიულ დონეს, განამტკიცებს კავშირს კომკავშირელებთან, დაარაზმავს აქტივს პარტიის დირექტივების ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

ამხ. მირცხულავამ მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, როცა ზოგიერთი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები დაინტერესებული იყვნენ ჰყოლოდათ უზომოდ გაბერილი შტატები. ასეთი პრაქტიკა აბრკოლებდა კომკავშირულ ხელმძღვანელობაში თვითმომქმედი აქტივის ჩაბმას. ქალაქ თბილისის კომკავშირის ორგანიზაციებში აღიზარდა მრავალი ასეული ახალგაზრდა აქტივისტი. მათ უდიდესი საქმის გაკეთება შეუძლიათ. სამწუხაროდ, სუსტად არის დაყენებული აქტივთან მუშაობა, კომკავშირული აქტივის ნაწილი ნაკლებად არის ჩაბმული ნამდვილ კომკავშირულ მუშაობაში.

საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომი არადამაკმაყოფილებელ მუშაობას აწარმოებს კომკავშირული აქტივის მისაზიდად მუშაობაში. მარტო ის ფაქტი, რომ 7 თვის განმავლობაში რაიკომის პლენუმი მხოლოდ ერთხელ შესდგა, მოწმობს რაიკომის სუსტ მუშაობას. ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმის წევრების უმრავლესობა არ ეწევა კომკავშირულ მუშაობას, მათ მიცემული არა აქვთ დავალებანი და სხვ.

სუსტად არის დაყენებული აგრეთვე მუშაობა რაიკომების შტატგარეშე ინსტრუქტორებთან. საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომს 7 შტატგარეშე ინსტრუქტორი ჰყავს, რომელთაგან ორი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული კომკავშირულ მუშაობაში.

ამხ. მირცხულავამ აღნიშნა აგრეთვე, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში მოუწესრიგებელია კომკავშირული მეურნეობა, სუსტად არის დაყენებული სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობა და სხვ.

მოხსენების შემდეგ კამათში პირველი გამოდის საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. ტატიშვილი.

— მსგავსი წარმოება-დაწესებულებებში,—ამბობს ამხ. ტატიშვილი,—ჩვენ გვყავს კომკავშირის კომიტეტის ფასიანი მდივნები. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს კომკავშირული ორგანიზაციები მაინც სუსტად მუშაობენ. რაიკომის ხელმძღვანელები იმის იმედით, რომ ამ ორგანიზაციებში გვყავს კომიტეტის ფასიანი მდივნები, იშვიათად ესწავლობთ მათ მუშაობას, ნაკლებად ვეხმარებით პრაქტიკულ მუშაობაში. თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კომკავშირის ორგანიზაცია სუსტად მუშაობს; კომიტეტის მდივანმა ამხ. მერაბიშვილმა ვერ შესძლო კომკავშირის აქტივი ჩაება მუშაობაში. ასეთივე მდგომარეობაა კიროვის დაზგათმშენებელი ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციაშიც.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა კოშაძემ ილაპარაკა კომკავშირის თბილისის კომიტეტისა და ლენინის სახელობის რაიკომის მიერ ძირეული ორგანიზაციებისადმი არაოპერატიულ ხელმძღვანელობაზე.

—ხელმძღვანელი ამხანაგები ხშირად გვპირდებიან დახმარებას, მაგრამ ზოგჯერ დაპირება დაპირებად რჩება. ასეთი პრაქტიკა კი დაგმობილია საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის მიერ,—გაანაცხადა ამხ. კოშაძემ.

— მთელ იმედს ფასიან კომკავშირულ მუშაკებზე ვამყარებდით, ნაკლებად ვზრუნავდით თვითმომქმედი აქტივის შექმნისათვის. სწორედ ამიტომ არის, რომ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს მუშაობაში. არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს გაბერული შტატები, ეს ხელსაც კი გვიშლის. ამჟამად მთავარია აქტივთან გულმოდგინედ მუშაობა, მისი ჩაბმა პრაქტიკულ კომკავშირულ საქმიანობაში,—ლაპარაკობს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ამხ. ფარულავა.

საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ცქიტიშვილმა ილაპარაკა კომკავშირულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და აქტივის ყურადღება გაამახვილა საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად განხორციელებისაკენ.

შინაარსიანი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხანაგები: ხანოიანი, ფირცხალავა, ქალიტოვი, ჩუბინიძე, ჩიტაიშვილი, აიზენშტადტი, ბარნაბიშვილი, ტაბიძე და შენგელია.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასაბა ღონისძიებები კომკავშირულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

თბილისის საქალაქო აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. **ჩერქეზია.**

პარტბიუროს მდივნის მოადგილეები

პარტბიუროს ზოგიერთი მდივანი თავის მოადგილეს არ იყენებს ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე. ალბად ფიქრობენ, რომ მოადგილეებს ირჩევენ „ყოველი შემთხვევისათვის“ და მათ იმ დავალებას აძლევენ, რასაც პარტიის რიგითი წევრები ასრულებენ. გასაგებია, რომ მოადგილეების მიმართ ასეთი დამოკიდებულება ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდა პარტიული კადრების ზრდას. ხშირად ხდება, როდესაც პარტბიუროს მდივნის მოადგილე იწყებს თავისი მოვალეობის დამოუკიდებლად შესრულებას და გამოუცდელობის გამო უხერხულ მდგომარეობაში ვარდება.

ასე მოხდა, როდესაც ავტო-სარემონტო ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. პ. მამონტოვმა თავის მოადგილეს ამხ. ვ. გეიდარენკოს დაავალა პარტბიუროს სხდომის ჩატარება.

სხვა საკითხებთან ერთად ბიუროს სხდომაზე უნდა განხილულ ამავე ქარხნის ინჟინრის ამხ. გ. მ-ძის განცხადება საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატობიდან წევრად მიღების შესახებ. ბიუროზე მას შეეკითხნენ: „რა არის ლენინიზმი“... „ვის შეუძლია იყოს პარტიის წევრი“ და აგრეთვე მრავალი სხვა. ერთი სიტყვით, ამხ. მ-ძეს ნამდვილი გამოცდა მოუწყვეს. როდესაც ზოგიერთ შეკითხვაზე მან ვერ გასცა სათანადო პასუხი, მას პარტიაში მიღებაზე უარი უთხრეს, როგორც პოლიტიკურად მოუმზადებელს.

ჯერ კიდევ 1937 წელს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე ამხანაგი **სტალინი** თავის მოხსენებაში აღნიშნავდა: „პარტიის პროგრამა რომ შეითვისო, უნდა იყო ნამდვილი მარქსისტი, შემოწმებული და თეორიულად მომზადებული მარქსისტი. მე არ ვიცი, ბევრი მოინახება თუ არა ჩვენში პარტიის წევრი, რომელსაც უკვე შეეთვისებინოს ჩვენი პროგრამა, გამხდარიყოს ნამდვილი მარქსისტი, თეორიულად მომზადებული და შემოწმებული, ამ გზით თუ გავყენებით ჩვენ მოგვიხდებოდა დაგვეტოვებინა პარტიაში მხოლოდ ინტელიგენტები და საერთოდ სწავლული ადამიანები. ვის რად უნდა ასეთი პარტია?“.

სამწუხაროდ ბელადის ამ მითითებიდან ვერ გააკეთეს სათანადო დასკვნები ავტო-სარემონტო ქარხნის პარტბიუროს წევრებმა.

ავტოსარემონტო ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. პ. მამონტოვი საკმაოდ არ მუშაობს თავის მოადგილეებთან. წინასწარ არ ესაუბრება მათ ბიუროზე განსახილველ საკითხების გარშემო. ეს ფაქტი მოწმობს აგრეთვე იმასაც, რომ ავტოსარემონტო ქარხნის ზოგიერთი კომუნისტები არ მუშაობენ თავიანთი იდეურ - პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათანადოთ არც პარტრაიკომი ეხმარება პარტბიუროს მათი ზრდის საქმეში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომს დღემდე არ ჩაუტარებია პარტბიუროს მდივნის მოადგილეებთან საუბარი მათი მუშაობის გაუმჯობესებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

არ იქნებოდა ცუდი, თუ რაიონული კომიტეტები პერიოდულად ჩაატარებდნენ პარტბიუროს მდივნის მოადგილეების თათბირებსა და სემინარებს. მოადგილეების როლი და ავტორიტეტი ამით საგრძნობლად ამაღლდებოდა, მაშინ ისინი უფრო მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობდნენ.

პარტბიუროს მდივნის მოადგილეები ახალგაზრდა პარტიულ მუშაკთა ახალ და დიდ რაზმს წარმოადგენენ, რომელთაც სჭირდებათ სწავლა და ყოველდღიური დახმარება. მათთვის თეორიული და პრაქტიკული დახმარების გაწევით დაინტერესებული უნდა იყოს პარტბიუროს მდივანი და, პირველ რიგში კი, პარტრაიკომი. მთავარი ის არის, რომ მოადგილეებს გაბედულად შეასწავლონ პარტიული მუშაობის ხელოვნება პრაქტიკულ სამუშაოზე.

ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნების შემდეგ პარტბიუროს მდივნის ბევრმა ახლად არჩეულმა მოადგილემ მუშაობის კარგი უნარი გამოიჩინა.

სატრიკოტაჟო კომბინატის ჩულქების საქსოვმა საამქრომ მარტში გეგმა ვერ შეასრულა. ეს მოვლენა პარტბიუროს მდივნის მოადგილეს ამხ. ნ. მ-ძის ეგოროვს არ გამორჩა მხედველობიდან. მან გადასწყვიტა შეესწავლა თუ რამ შეუშალა ხელი ამ საამქროს გეგმის შესრულებაში. გამოირკვა, რომ ჩულქების საქსოვი საამქროს უფროსმა ნ. კალატილინამ ვერ გაართვა თავი სამუშაოს, ვერ დარაზმა მუშები გეგმის დროულად შესრულებისათვის და თვითონვე გახდა საამქროს გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი.

საკითხის შესწავლის შემდეგ ბიუროზე მოისმინეს ამხ. ეგოროვის მოხსენება. ამხ. კალატილინა გადაიყვანეს სხვა საამქროში, მის მაგივრად კი დანიშნეს ენერგიული მომუშავე ქალი ამხ. ვ. კანუშკოვა. ამან კარგი შედეგი გამოიღო და ამის შემდეგ ჩულქების საქსოვმა საამქრომ ერთი თვის გეგმა 101,7 პროცენტით შეასრულა.

ზემოაღნიშნული ფაქტი იმას მოწმობს, რომ სატრიკოტაჟო კომბინატის პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. ოქრუაშვილი კარგად ეხმარება თავის მოადგილეებს.

ასევე შეიძლება ითქვას სარეწაო საბჭოს პარტბიუროს მდივანზე ამხ. კ. ლუხუტაშვილზე, იგი თავისი მოადგილეების მიერ წამოყენებულ ინიციატივას დროზე და საქმიანად ეხმაურება. მისი მოადგილე ამხ. რ. ოთხმეზური მონდომებით მუშაობს და სისტემატურად ამზადებს სხვადასხვა საკითხებს ბიუროზე მოსახსენებლად.

ადგილობრივი არჩევნების შემდეგ დიასახლისთა შორის საგიტაციო მუშაობა შენელდა. ამხ. ოთხმეზურმა აიღო ინიციატივა ამ დარგში მუშაობის გამოცოცხლების მიზნით. პარტბიუროომ მოიწონა მისი წინადადება და ამჟამად სარეწაო საბჭოსთან არსებულ პარტორგანიზაციასთან უკვე ჩამოყალიბებულია აგიტკოლექტივი, რომელსაც ამხ. ოთხმეზური ხელმძღვანელობს. აგიტატორები დიასახლისთა შორის სისტემატურად ატარებენ საგიტაციო მუშაობას.

საჭიროა პარტბიუროს მდივნებმა ეგრძნონ პასუხისმგებლობა თავისი მოადგილეების სწორად აღზრდის საქმეში. პარტიული მუშაკის, განსაკუთრებით ძირეული მუშაკის, გამოზრდის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს მათი ჩაბმა პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში. თავიანთ მოადგილეებს უნდა შეუქმნან ზრდის პირობები, შეუქმნან პირობები იმისათვის, რომ მათ შესძლონ თავიანთი როლის სათანადოდ შესრულება, ხელი უნდა შეუწყონ მათ, რომ იყვნენ ყოველმხრივ განვითარებული და გამოცდილი ხელმძღვანელები.

ამ საქმეში კი პირველადს პარტორგანიზაციებს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ პარტრაიკომებმა.

ელ. ჩიტიშვილი

ორჯონიკიძის პარტრაიკომის პლენუმი

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან).

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გრ. ხიხაძის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში ცვლილებათა შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების განხორციელების მიმდინარეობაზე.

ამ საკითხის ირგვლივ კამათში გამოვიდნენ გ. მშვენიერაძე, პ. თხელიძე, მ. კიკნაძე, გ. შარიქაძე, ს. კოჩაძე, ლ. მდივნიშვილი, ე. გოკოლაძე, ვ. ბოგვერაძე და დ. ჩხეიძე.

რაიონის პარტორგანიზაციებში პარტიული მეურნეობის მოწესრიგების შესახებ პლენუმმა მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგის ამხ. პ. ნანიტაშვილის მოხსენება. ამხ. პ. ნანიტაშვილის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 6 კაცმა.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი საკოლმეურნეო ნათესებისა და ვენახების მოვლა-პატრონობის შესახებ. აღნიშნული საკითხების ირგვლივ პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

დ. გაგრიაძე

მოსკოვი. სახკომსაბჭოს სახლი.

საკავშირო ფოტოქრონიკა

რას იგყვიან ამხანაგები საქართველოს სსრ პროკურატურიდან?

(ქუთაისი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

გასული წლის 10 ივნისს გაზ. „კომუნისტმა“ დაბეჭდა თავისი ქუთაისელი კორესპონდენტის წერილი —„ცილისმწამებლები არ დაუსჯიათ“. წერილში მხილებული იყვნენ, როგორც ცილისმწამებლები, კავშირგაბმულობის ქუთაისის განყოფილების უფროსი გ. ხაზარაძე, მისი თანაშემწე ხ. ნიკურაძე და ამავე განყოფილების პარტორგანიზაციის მდივანი გ. მაჩიტაძე.

ქალაქ ქუთაისის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ, გაარჩია რა აღნიშნულთა საქმე, წერილში მოყვანილი ფაქტები სწორად სცნო და ბრალდებულთ მიუსაჯა პატიმრობა სხვადასხვა ვადით. მსჯავრდადებულმა ხაზარაძემ, მაჩიტაძემ და ნიკურაძემ კასაციით მიმართეს საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს. ამ უკანასკნელმა გასული წლის 4 სექტემბერს დაარღვია ქუთაისის 1 უბნის სახ. სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დამატებითი ძიებისათვის პროკურატურას გადასცა. შეუდგნენ დამატებითს ძიებას, ხოლო ბრალდებულები 4 თვის პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს.

დამატებითი ძიება 1940 წლის იანვრამდე გაჭიანურდა. 17 იანვარს კი, როგორც იქნა, ქუთაისის მეოთხე უბნის სახ. სასამართლომ დანიშნა ხაზარაძისა და სხვათა პროცესი, მაგრამ იძულებული გახდა საქმე, რომელიც კვლავ დაზუსტებას მოითხოვდა, ისევ პროკურატურისათვის დაებრუნებინა.

გავიდნენ თვეები. საქმეს დასასრული არ უჩანდა. საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა გ. ხაზარაძეს, გ. მაჩიტაძეს და ხ. ნიკურაძეს პარტიული ბილეთები ჩაუბარა, ისინი პარტორგანიზაციას დაუბრუნდნენ. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ მათ თავი გაიმართლეს, საჭირო იყო მხოლოდ საბრალდებო დასკვნის დაზუსტება და საქმის დაჩქარება.

და აი, მიმდინარე წლის 17 თებერვალს ხაზარაძე - მაჩიტაძე - ნიკურაძის საქმე საქ. სსრ პროკურატურამ გაითხოვა. ყველა მოელოდა, რომ ძიებას ამის შემდეგ მაინც მიეცემოდა დასასრული. მაგრამ გაჭიანურებულ საქმეს ბედმა არც რესპ. პროკურატურაში გაუღიმა. იგი თითქოს გაჭირა...

ბრალდებულნი საკ. კ. პ. (ბ) წევრები არიან. მათი საქმით დაინტერესდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიურო, რომელმაც 5 თვის წინათ გამოჰყო სპეციალური პარტიული კომისია. რადგან პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები დაუშვებლად აჭიანურებდნენ ხაზარაძისა და სხვათა საქმის შესწავლას, კომისიას დაეკალა დაწვრილებით შეესწავლა ხაზარაძის, მაჩიტაძისა და ნიკურაძის პარტიაში დატოვების შესაძლებლობის საკითხი.

ქალაქკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ ადრევე დაამთავრა მასალების დაგროვება. საბოლოო დასკვნისათვის საჭირო გახდა იმ სასამართლო საქმის გაცნობა, რომელიც, როგორც ზევით ვსწერდით, რესპ. პროკურატურამ გაითხოვა ა. წ. 17 თებერვალს. პარტიული კომისიის თავმჯდომარემ — მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ჯინჭარაძემ და ცალკე ქალაქ ქუთაისის პროკურორმა ამხ. გ. დოლიძემ მარტში საქ. რესპ. პროკურატურას მოსთხოვეს ხაზარაძისა და სხვათა შესახებ საგამომძიებლო მასალების უკან დაბრუნება. ამ მოთხოვნის პასუხად კომისიას საქ. რესპ. პროკურორის ამხ. ტალახაძის ხელმოწერით ასეთი შინაარსის მომარცოვა მოსდის (7/IV, № 101):

„ვინაიდან საგამომძიებლო მასალები კავშირგაბმულობის რაიკანტორის ყოფილი თანამშრომლების ხაზარაძის, ნიკურაძის და სხვათა ბრალდებაზე საქ. რესპ. პროკურატურის მიერ გადაგზავნილია ქუთაისის ქალაქის პროკურატურიდან“.

ამის საფუძველზე საქალაქო კომიტეტის კომისიამ აღნიშნული საგამომძიებლო მასალები მართლაც მოსთხოვა ქუთაისის ქალაქის პროკურორს ამხ. დოლიძეს, მაგრამ დახეთ საკვირველებას! ნაცვლად საბრალდებულო მასალებისა ქალაქის პროკურატურაში აღმოჩნდა რესპ. პროკურატურის სწორედ 27 მარტის № 21574 მომართვა, რომელსაც ხელს აწერენ საგამომძიებლო განყ. უფროსი ესაკია და იმავე განყ. პროკურორი გაგუა. ისინი იტყობინებოდნენ, საქმე შესამოწმებლად გადაგზავნილი აქვს რესპუბლიკის პროკურატურის სისხლის სამართლის განყოფილებას და იგი ჩვენთან დაბრუნებისთანავე გადმოგეგზავნებათ სათანადო მითითებით.

მოდით და ნუ გაგიკვირდებათ! რესპუბლიკის პროკურორი ამხ. ტალახაძე სხვას იწერება, ესაკია - გაგუა კი სულ სხვას. კომისია იძულებული გახდა დროებით შეწყვეტილ ყოფილიყო ამ მდგომარეობას.

ეს იყო მარტში. მას შემდეგ სამი თვე გავიდა. საქ. რესპ. პროკურატურაში კვლავ გაუნაღდებელ დაბარებებს იძლევიან ხაზარაძე - ნიკურაძე - მაჩიტაძის საქმეზე საგამომძიებლო მასალების დაზუსტებისა და ადგილზე დაბრუნების შესახებ.

ნუთუ ასეთ ამბებს ადგილი უნდა ჰქონდეს რესპუბლიკის პროკურატურაში? იქ, როგორც სჩანს, ზოგიერთ მუშაკს დავიწყებია, რომ შეუწყნარებელია ბიუროკრატიზმს და ადამიანთა ბედის ამუნად აგდებას ადგილი ჰქონდეს იმ ორგანოში, რომელიც ყველაზე მეტად მოწოდებულია დაუზოგავად ებრძოლოს ასეთ სიმახინჯეს.

ჩვენ მოვითხოვთ კონკრეტულ დამნაშავეთა სასტიკად დასჯას.

გ. ყურაშვილი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

თავმჯდომარეებიდან გამოსცვალეს

ლაგოდეხიდან „კომუნისტის“ სოფლკორი გვწერდა, რომ სოფ. ფოდანის კოლმეურნეობა „წინსვლის“ თავმჯდომარე გრიგოლ ქაშაკაშვილი სუსტად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას, დაუდევრად ეკიდება საკოლმეურნეო ქონებას და ხელს უწყობს მის განიავებას.

წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გაეგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომს. რაიკომის მდივანი ამხ. შ. ნუცუბიძე გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა, საკითხი განხილულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის ბიუროზე, რომლის მითითებით გადახალისებულ იქნა კოლმეურნეობის გამგეობა და კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით გრიგოლ ქაშაკაშვილი მოხსნილ იქნა თავმჯდომარეობიდან.

პარტრაიკომის მიერ მიღებულია ზომები კოლმეურნეობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ს. ჩერნიშევი ქალაქ მოსკოვის მთავარი არქიტექტორი

განახლებული მოსკოვი

გავიდა ხუთი წელი მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ, რომელმაც საფუძველი დაუდო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქის ძირეულ გარდაქმნას და რომელმაც უჩვენა განვითარების გზები მთელს საბჭოთა საქალაქო მშენებლობას.

ეს გეგმა, რომელიც შექმნილია მშრომელთა დიდი მასწავლებლისა და მეგობრის ამხანაგ **სტალინის** ინიციატივითა და მითითებებით, იყენებს სოციალისტური, გეგმიანი მეურნეობის ყველა უპირატესობას ძველი ქალაქის გარდაქმნისათვის, ახალ, კეთილმოწყობილ და ლამაზ ქალაქად მისი გადაქცევისათვის.

ამ ისტორიული დოკუმენტის ძირითადი, ხელმძღვანელი იდეაა — სტალინური ზრუნვა ადამიანზე, მისგან გამომდინარეობს იმ ღონისძიებათა პროგრამა, რომლებიც ჭეშმარიტად გვაოცებენ თავიანთი გამბედაობითა და გაქანებით.

ჩვენი დედაქალაქის ტერიტორიის საუკეთესო, ყველაზე ჯანსაღი და ლამაზი ნაწილები ეთმობა საბინაო მშენებლობას; მდინარე და მისი ნაპირები გამოყენებული იქნება არა მარტო სატრანსპორტო-სამეურნეო მიზნებისათვის, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება კაპიტალისტური ქვეყნების ქალაქებში, არამედ გადაიქცევა ქალაქის ერთერთ ყველაზე ლამაზ მაგისტრალად; საზოგადოებრივი ნაგებობანი — თეატრები, კლუბები, სკოლები, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები, საბავშვო ბაღები და ბაგები — ნაწილდებიან თანაზომიერად ქალაქის მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის საუკეთესო მომსახურებისათვის. ქალაქის გამდიდრებას წყალსატევებით, პარკების, ქალაქის გარშემო ათკილომეტრიანი მწვანე რკალის შექმნას, ქალაქისა და საგარეუბნო ტრანსპორტის რეკონსტრუქციას—ყოველივე ამას აქვს ერთი მიზანი—ზრუნვა ადამიანზე, ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქის მრავალმილიონიან მოსახლეობაზე. მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაშია შესაძლებელი ამ გრანდიოზული ამოცანის გადაჭრა.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში ყოველი რამდენადმე დიდი საზოგადოებრივი ღონისძიება ყოველთვის ეხება ამა თუ იმ კერძოსაკუთრულ ინტერესებს და გარდუვალად აწყდება დაუძლეველ დაბრკოლებებს. აი რატომ არის, რომ კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში დედაქალაქების და სხვა დიდი ქალაქების რეკონსტრუქციის შექმნილი გეგმები ერთერთხელ რჩებოდნენ მხოლოდ ქაღალდზე ან მთავრდებოდნენ შედარებით წვრილი ამოცანების პრაქტიკული გადაჭრით.

მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შესრულებულია.

ვიწრო მრუდე ქუჩებიანი და ჩიხებიანი, დაბალსახლებიანი, მოკირწყლულ ქუჩებიანი და პრიმიტიულად კეთილმოწყობილი მოსკოვი უკვე ბევრ რამეში შეიცვალა ახალი ქალაქით, რომელსაც აქვს ფართო სწორი მაგისტრალები, ფართო მოედნები, მოასფალტებული ქუჩები, დიდი კარგი საცხოვრებელი სახლები, ლამაზი საზოგადოებრივი ნაგებობანი და პარკები.

ოხოტნი რიადის რეკონსტრუქციით (სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სახლის და სასტუმრო „მოსკოვის“ მშენებლობა), კიტაიგოროდის კედლის დანგრევით შეიქმნა მოსკოვის ახალი, გაფართოებული ცენტრის ერთერთი პირველი რგოლი.

რეკონსტრუირებული და გაფართოებულია ქალაქის ძირითადი მაგისტრალები, სადაც შენდება ახალი დიდი სახლები. დამთავრდა ორი დიდი „ა“ და „ბ“ კორპუსის მშენებლობა გორკის ქუჩაზე, რომელთა სიგრძე ნახევარ კილომეტრს აღწევს. ამავე ქუჩის მერე ბოლოში სწარმოებს მშენებლობა ფართო ნაკვეთზე—მოსკოვის საბჭოდან პუშკინის მოედნამდე. ამგვარად გორკის ქუჩა მთელ თავის სიგრძეზე კრემლიდან მაიაკოვსკის მოედნამდე ფართოვდება 40-60 მეტრამდე.

სადოვოე კოლცოზე შენდება კარგი მრავალსართულიანი სახლები. აშენდა ახალი სახლები კალუგის ქუჩაზე. აქ პირველად დიდი მასშტაბით გამოყენებულ იქნა მშენებლობის სწრაფი მეთოდი, რომელიც სტახანოვურ მუშაობას ათავსებს მექანიზაციასა და სტანდარტის ფართო გამოყენებასთან. ინდუსტრიულ-სწრაფი მეთოდის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სტანდარტის სათანადო ხარისხით და ამ მეთოდის უნარიანი გამოყენებით (შეიძლება მივაღწიოთ სავსებით დამაკმაყოფილებელ შედეგებს არქიტექტურულ-მხატვრული მხრივაც.

უკანასკნელი ორი წლის არქიტექტურულმა პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ ნაგებობის სილამაზეს შეადგენს არა უპირველესი მორთულობა და ძვირად ღირებული მასალების გამოყენება, არამედ მისი მიღწევა მარტივი საშუალებებით. საბჭოთა არქიტექტურის ძირითად ამოცანებს კვლავ შეადგენენ გეგმის მიზანშეწონილობა და ეკონომიურობა, კომპოზიციის მთლიანობა, მთელის უბრალოება და მხატვრულობა, რომელიც მიღწეულია მარტივი საშუალებებით.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვამ მოზარდ თაობაზე გამოხატულება ჰპოვა სკოლების მასობრივ მშენებლობაში. 5 წლის განმავლობაში მოსკოვში აშენდა 375 ახალი ფართო, ნათელი სკოლა (გენერალური გეგმით გათვალისწინებული 530-დან). მოსკოვის მოსწავლეთა 70 პროცენტზე მეტი სწავლობს ახალ სკოლებში. საბავშვო ბაღები ჯერ კიდევ 1939 წელს ითვლებოდა ათასზე მეტი.

განუწყვეტლივ შედიოდნენ მწყობრში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი. ლენინის სლობოდაში ყოფილი სიმონის მონასტრის ადგილზე აშენდა პროლეტარული რაიონის სტალინის სახელობის ქარხნის კულტურის სასახლე; აშენდა საბჭოთა კავშირში უდიდესი წიგნსაცავი —ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა; რეკონსტრუირებულია „დინამოს“ სტადიონი, რომელიც ახლა იტევს 90 ათას მაყურებელს; მოწყობილია 23 საბავშვო პარკი; აშენდა ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზი მაიაკოვსკის მოედანზე; რეკონსტრუირებულია სტანისლავსკის სახელობის თეატრი; აშენდა დედაქალაქის ყველაზე დიდი თეატრი—წითელი არმიის თეატრი.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII კრილობის დადგენილებით, საბჭოების სასახლის ადგილზე ამოიღეს ნანგრევები. ამ ადგილზე ამოიზარდა ულამაზესი ნაგებობა, ეს ნაგებობა ეხმიანება ლენინის ბრძანებას

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის საჰაერო ბრძოლების ცნობა

ბერლინი, 7 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას: „უაიტის კუნძულის (სამხრეთ ინგლისში) განედზე გერმანიის სატორპედო კატარღამ ჩასძირა მტრის გემი 6 ათასი ტონა წყალწყვილა. გერმანიის საბრძოლო თვითმფრინავების შენაერთებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარა მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს სამხრეთ ინგლისში. ფალმუტის ნავსაგურში გერმანიის თვითმფრინავმა ყუმბარა ჩამოაგდო მტრის 8-ათასი ტონა წყალწყვილ სავაჭრო გემზე, რომელსაც შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა.

ჩრდილოეთი ზღვის ცენტრალურ რაიონში გერმანიის საბრძოლო თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ინგლისის სამხედრო გემებზე. ინგლისის ორი საესკადრო ნაღმოსანი სერიოზულად დაზიანდა და, როგორც სჩანს, ჩაიძირა. ლა-მანშის სრუტეში ჩაძირულია მტრის ერთი დაბმარე სამხედრო გემი და სანაპირო დაცვის ერთი გემი. ჩაიძირა აგრეთვე ინგლისის წყალქვეშა ნავი, რომელიც გუშინ დაეზიანეს „არადო 196“ ტიპის გერმანულმა თვითმფრინავებმა. ამ ნავის ეკიპაჟი გერმანიის სადარაჯო გემებმა და თვითმფრინავებმა გადაარჩინეს. ჩრდილოეთ გერმანიაზე ინგლისის ავიაციის მიერ ღამით წარმოებულ თავდასხმებს სერიოზული ზიანი არ მიუყენებია. ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ დანიის ორ თევზსაჭერ გემს და ყუმბარა და ტყვიამფრქვევი დაუშინეს, მაგრამ უშედეგოდ. ინგლისელებმა ერთი ყუმბარა ნორვეგიის შეუიარაღებელ გემზე ჩამოაგდეს. ეკიპაჟიდან რამდენიმე კაცი მოკლულია. გუშინ მტრის ავიაციამ 10 თვითმფრინავი დაკარგა. გერმანიის ორი თვითმფრინავი თვეის ბაზაში არ დაბრუნებულა“.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ დღეს მტრის ავიაციამ თავდასხმა მოახდინა ინგლისის ორ სანაპირო ქალაქზე. სჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია გერმანიის ორი ყუმბარმშენი. გერმანიის თვითმფრინავების ბომბარდირებამ ერთგვარი მსხვერპლი გამოიწვია და ზიანი მიაყენა დასავლეთ ინგლისის ერთ ქალაქს. გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოაგდეს აგრეთვე ინგლისის სამხრეთ სანაპიროს ერთ ქალაქში. ზიანი დიდი არ არის. ცხობა მსხვერპლის შესახებ არ მოსულა.

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს დილით ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ერთერთ ქალაქზე გერმანიის ავიაციის თავდასხმის დროს ჩამოგდებული იყო 100-მდე ცეცხლგამჩენი ყუმბარა და დიდი ძალის 12 ფეთქადი ყუმბარა. ყუმბარები ბაღებში და მინდვრებში ჩამოვარდა. რამდენიმე კაცი მსუბუქად არის დაჭრილი.

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს გერმანიის ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისის ავიაციის გუშინდელი დღის საერთო ზარალი 14 თვითმფრინავს შეადგენს. ლონდონში ავტორიტეტული წრეები აცხადებენ, რომ ეს ცნობა გაზვიადებულია. ბრძოლის დროს გერმანელებმა დაჰკარგეს სამი ავიაგამანადგურებელი და ერთი ყუმბარმშენი, ინგლისელებმა კი — ერთი ავიაგამანადგურებელი. შემდეგ სააგენტო აცხადებს, რომ „მთელი ომის განმავლობაში ინგლისის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანიის 112 ავიაგამანადგურებელი, ხოლო 25 თვითმფრინავი სერიოზულად დაზიანდა, რის შედეგად ეს თვითმფრინავები, ალბათ, ვერ დაბრუნდნენ თავიანთ ბაზაში“.

ბრძოლები აფრიკაში და ხმელთაშუა ზღვაზე

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს: „ჩვენი საზღვაო ავიაცია 5 ივლისს თავს დაესხა ნავსადგურ ტობრუკს. რვა ყუმბარა პირდაპირ მოხვდა მტრის გემებს. ჩვენი ყუმბარმშენების შენაერთები თავს დაესხნენ აეროდრომს ზულაში (ერიტრეა). ყუმბარები პირდაპირ მოხვდა ორ თვითმფრინავს და ორ ნავთის რეზერვუარს.

ჩვენი საზღვაო ავიაცია თავს დაესხა იტალიის აეროდრომს კატანიაში (სიცილია). დაზიანებულია ორი ანგარი“.

შემდეგ რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, რომ ეგვიპტის უდაბნოში უკანასკნელი საომარი მოქმედების დროს ინგლისის ჯარის ნაწილებმა ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი, მათ შორის 60 საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო ქვემები და ოთხი მილიონი ვაზნა.

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 6 ივლისს იტალიის ავიაცია თავს დაესხა მალტას. როგორც ფიქრობენ, იტალიის ერთი თვითმფრინავი ჩამოგდებულია და ერთი დაზიანებულია. მსუბუქად დაიჭრა ოთხი კაცი.

რომი, 8 ივლისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის საომრდობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია: „გუშინ ჩვენმა ავიაციამ განაახლა მალტისა და ალექსანდრიის საზღვაო ბაზების წარმატებითი ბომბარდირება. ორი ჩვენი თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა.

კირენაიკის საზღვარზე ბრძოლაში განადგურებულია მტრის რამდენიმე მოტორიზებული და ჯავშანსატანკო შენაერთი. ხელთ ვიგდეთ ტანკი და ჯავშნიანი ავტომანქანა.

აღმოსავლეთ აფრიკაში ჩვენმა ავიაციამ სადაზვერვო და საბრძოლო გაფრენა მოახდინა კასალაზე და წარმატებით დაუშინა ყუმბარა მტრის მოტორიზებულ ნაწილებს. ამას გარდა, ყუმბარები დაუშინეს მტრის აეროპორტს პერიმის კუნძულზე“.

საფრანგეთის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს გიბრალტარს

ბერლინი, 7 ივლისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, საფრანგეთის რადიომ გადმოსცა საფრანგეთის საადმირალოს კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: „საფრანგეთის თვითმფრინავების ორმა ესკადრილიამ ყუმბარა დაუშინა გიბრალტარს. გამორკვა, რომ ყუმბარები ამ ნავსადგურში მდგომ ინგლისის სამხედრო გემებს მოხვდა“.

საფრანგეთის სამხედრო გემები ჯულონში მივიდნენ

ნიუ-იორკი, 7 ივლისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის ქენე